ADB

მოწვევა ტენდერში მონაწილეობაზე

თარიღი:	19 დეკემბერი, 2025
სესხის N და დასახელება:	3982-GEO წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის მდგრადი განვითარების პროგრამა
კონტრაქტის N და დასახელება:	EQ-2 - ოპერირებისა და ექსპლუატაციის ტექნიკა (ლოტი 3)
სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა:	2026 წლის 30 იანვარი 15:00 (თბილისის დრო)

1. საქართველოს მთავრობამ, „წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის მდგრადი განვითარების პროგრამის დაფინანსების“ ფარგლებში, აზიის განვითარების ბანკისაგან მიიღო სესხი. მიღებული სახსრების ნაწილის გამოყენება იგეგმება ზემოხსენებული კონტრაქტების დასაფინანსებლად. ტენდერი ღიაა პრეტენდენტებისათვის აზიის განვითარების ბანკის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

2. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემსყიდველი) იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად EQ2/LOT 3 –მაღალი გამავლობის 50 ცალი მანქანის შესყიდვაზე.

3. საერთაშორისო ტენდერი ჩატარდება „აზიის განვითარების ბანკის“ შესყიდვების სახელმძღვანელოს მიხედვით, ე.წ. „ერთეტაპიანი: ერთკონვერტიანი“ ტენდერის ფარგლებში (https://www.adb.org/sites/default/files/procurement-goods-guide.pdf) და ღიაა ყველა პრეტენდენტისათვის უფლებამოსილი ქვეყნებიდან, როგორც სატენდერო დოკუმენტებშია აღწერილი.

4. მხოლოდ უფლებამოსილ პრეტენდენტებს, ვინც აკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტებში მოცემულ შემდეგ საკვანძო საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, შეუძლიათ ტენდერში მონაწილება:

   - **საკონტრაქტო გამოცდილება:**

   გასული **სამი (3) წლის** განმავლობაში, მთავარ მომწოდებლად, ჯამურად მინიმუმ USD 800,000.00 ღირებულების 2 კონტრაქტის წარმატებით შესრულების გამოცდილება. კონტრაქტის საგანი და სირთულე უნდა იყოს მე-6 ნაწილში (მოწოდების გრაფიკი) აღწერილი მისაწოდებელი საქონლის მსგავსი:

   - **ტექნიკური გამოცდილება**

ტენდერში მონაწილემ უნდა დაადასტუროს, რომ შემოთავაზებული საქონელი ბოლო 3 წლის მანძილზე იყო წარმოებაში და გაყიდულია მინიმუმ 50 ცალი.

- **წარმოების სიმძლავრე**

მონაწილემ ან მწარმოებელმა უნდა დაადასტუროს, რომ მათ შესწევთ უნარი უზრუნველყონ მეექვსე სექციაში (მოწოდების გრაფიკი) აღწერილი რაოდენობის, ტიპის და ზომის საქონლის მოწოდება.

- **ისტორიული ფინანსური მაჩვენებლები:**

აუდირებული ფინანსური ანგარიშების ან, თუ პრეტენდენტის ქვეყნის კანონი აუდიტს არ ავალდებულებს, შემსყიდველისთვის მისაღები სხვა ფინანსური ანგარიშების წარმოდგენა, გასული **სამი (3) წლისთვის (2022, 2023 და 2024 ფინანსური წლები),** რათა პრეტენდენტმა დაადასტუროს ფინანსური მდგომარეობის გამართულობა. როგორც მინიმუმ, პრეტენდენტის ბოლო წლის წმინდა მოგება რომელიც გამოითვლება ვალდებულებებისა და აქტივების სხვაობით, უნდა იყოს დადებითი.

- **საშუალო წლიური ბრუნვა:**

მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა, რომელიც გამოითვლება გასული **სამი (3) წლის** განმავლობაში დასრულებული ან მიმდინარე კონტრაქტების ფარგლებში მიღებული გადახდებით უნდა შეადგენდეს მინიმუმ **USD 2,000,000.00.**

5. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტების გასაცნობად პრეტენდენტები უნდა დაუკავშირდნენ:
   შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
   ქ-ნ ეთერ ფირანიშვილი და/ან ქ-ნ ია მაზანიშვილი
   მისამართი: თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 5/7
   სართული/ოთახის ნომერი: პირველი სართული
   ქალაქი: თბილისი
   ZIP კოდი: 0186
   ქვეყანა: საქართველო
   ტელეფონი: (995 32) 291 90 60
   ფაქსი: (995 32) 22 00 36
   ელექტრონული ფოსტის მისამართი: info.procurement@water.gov.ge
   ასლი: e.piranishvili@water.gov.ge; i.mazanishvili@water.gov.ge

6. სატენდერო დოკუმენტები გაიცემა ელექტრონული ფორმით მე-5 პუნქტში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

7. წარმოადგინეთ სატენდერო წინადადებები:

- ზემოხსენებულ მისამართზე სატენდერო წინადადებების წარმოდგენის თარიღში ან ამ თარიღის ამოწურვამდე: 2026 წლის 30 იანვრის 15:00 (თბილისის დრო)
- სატენდერო წინადადების გარანტიით/გარანტიის შესახებ განცხადებით სატენდერო დოკუმენტების შესაბამისად.

სატენდერო წინადადებები გაიხსნება წინადადებების ჩაბარების ვადის ამოწურვიდან დაუყოვნებლივ, პრეტენდენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ გახსნაზე დასწრებას.

8. შემსყიდველი არ არის პასუხისმგებელი პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადებების მომზადება-ჩაბარებისას გაწეულ ხარჯებზე.